

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის ეფექტიანობის შეფასება
საქართველოში

ლალი თოლორდავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფინანსები და საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნიკოლოზ ყაველაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი აკადემიური წერის (IV) კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (ოქტომბერი - თებერვალი, 2021)

ლალი თოლორდავა, 2022

აბსტრაქტი

საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის რეჟიმის დანერგვასთან დაკავშირებული პირველი ნაშრომი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფინანსებით შეიქმნა, თუმცა მასში საუბარია მხოლოდ იმაზე, იმ პერიოდისათვის საქართველოს ეკონომიკა მზად იყო თუ არა აღნიშნული რეჟიმის დასანერგად. უკვე 11 წელია, რაც IT რეჟიმი დაინერგა, თუმცა მის ეფექტიანობასთან დაკავშირებით კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა. ამ მიზნით ჩავატარე რაოდენობრივი კვლევა, რომელიც მოიცავს T-test-ისა და სტანდარტული გადახრის ანალიზს, ასევე თვისობრივი კვლევა, რომელიც მოიცავს IT რეჟიმის პრერეკვიზიტების მდგომარეობის შეფასებას. კვლევამ აჩვენა, რომ IT-ს შემდგომ პერიოდში ინფლაცია ნაკლებად დამოკიდებული გახდა წინა პერიოდის მნიშვნელობებზე და უფრო მეტად მუდმივი გახდა, ამავდროულად ინფლაციის დონე უფრო შემცირდა და ნაკლებად რყევადია. საბოლოოდ, IT რეჟიმი საქართველოს ეკონომიკაში წარმატებით ფუნქციონირებს და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები : T-test-ის ანალიზი, ინფლაციის რყევადობა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა

Abstract

The first paper about the inflation targeting regime in Georgia was published with the sponsorship of International monetary fund, however this paper just discusses if Georgia was ready to adopt IT regime at this time. It has been 11 years since IT was adopted by our economy, but there has not been any research discussing the effectiveness of inflation targeting regime. For the research purposes I have conducted quantitative research such as T-test analysis with standard deviation analysis, at the same time qualitative research in order to determine what institutional prerequisites were like before the adaption of IT. As research shows after the adoption of IT regime inflation has become less dependent on the previous meanings, became more stable, lower and less volatile. As a result of the research we can conclude that IT regime is successfully adopted in Georgia and has become one of the crucial tools for the macroeconomic stability.

Keywords: T-test Analysis, volatility of inflation rate, macroeconomic stability